ონის მუნიციპალიტეტის გამგებელის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ მერაბი ორდინიძეს

მიმდინარე წლის 23 დეკემბრის №21/12 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ( ქ. ონში საახალწლო ღონისძიებისათვის მასალების შეძენის და მონტაჟის-დემონტაჟის სამუშაოები) შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის FG/14 012717 საფუძველზე გთხოვთ ჩაგვირიცხოთ სახელშეკრულებო ღირებულების 100%.

შპს ონის კომუნალური სამსახურის

დირექტორი ალექსანდრე გამყრელიძე

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოს. № 03-2084
„26" 12 2014წ.

ის სადაზღვევო ჯგუფი

# საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა

## (საბანკო გარანტია)
## FG/14 012717

ვის. ონის მუნიციპალიტეტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს ონის კომუნალური სამსახური-მ (ს/კ: 237977052), შემდგომში "მიმწოდებელი", ონის მუნიციპალიტეტის წინაშე, შემდგომში "ბენეფიციარი", იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანტიის სახით (ქ. ონში, საახალწლო ღონისძიებებისათვის მასალების შეძენა და მონტაჟი-დემონტაჟი ) მის მიერ მოთხოვნილ საავანსო გადახდის თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ "მიმწოდებლის" სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე "მიმწოდებლის" სახელით არაუმეტეს თანხაზე 4 699.10 (ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 10 თეთრი ) ლარი და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას "მიმწოდებლის" მიერ ონის მუნიციპალიტეტთან 2014 წლის 23 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით №21/12 ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე კერძოდ, ავანსად გაცემული თანხის არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევაში თქვენი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის მანძილზე.

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა ავტომატურად შემცირდება "მიმწოდებლის" მიერ "ბენეფიციარი"-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. საგარანტიო უზრუნველყოფა ძალაშია 2014 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 05 მარტის ჩათვლით, რის შემდეგაც მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდასზე ონის მუნიციპალიტეტის მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანტია გაიცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2012 წლის 09 თებერვალს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 229/12-ის საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674
კოსტავას ქ. #67

..........................................................................................

მედეა მძინარიშვილი

ფინანსური რისკების მენეჯერი

თარიღი: 24.12.2014